აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

23/02/2016 N 9

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ პროგრამის დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტემენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 ივლისის №13 დადგენილებით დამტკიცებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის მე–2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს თანდართული „რეკომენდებულია აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“ (აგრეთვე წოდებული „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“) პროგრამა.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ქალაქ ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30-ში, კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მამია ბერძენიშვილი

დეპარტამენტის თავმჯდომარე

„რეკომენდებულია აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“

1. პროგრამის მიზანი

1.1. პროგრამის მიზნებია:

ა. ტურისტული მომსახურების პერსპექტიული განვითარება, მისი კონკურენტურარიანობისა და მიმზიდველობის გაზრდა;

ბ. ტურიზმის ინდუსტრიაში სერვისის სფეროს მიმართულებით მიმდინარე პროცესების ანალიზი;

გ. ხარისხიანი ტურისტული მომსახურების მიწოდების წახალისება;

დ. ტურისტებისათვის, როგორც მომხმარებელთათვის, ხარისხიანი მომსახურების განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ე. უსაფრთხოების ზომების დაცვის უზრუნველყოფის წახალისება ტურისტული სერვისის განმახორციელებელთა მხრიდან.

2. პროგრამით გათვალისწინებული პროცედურები კვებისა და განთავსების ობიექტებისათვის

2.1. ნიშანი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მიენიჭება კვებისა და განთავსების ობიექტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ პროგრამის ვებ-გვერდზე recommend.ge, რისთვისაც შეავსებენ სპეციალურ კითხვარს (დანართი 4).

2.2. რეგისტრაციასთან ერთად შეტყობინებები შესაძლოა გაეგზავნოს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალიტეტის სანდასუფთავებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს.

2.3. განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში ამ პროგრამის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური კომიტეტი ეწვევა ობიექტს შემოწმების პროცედურების განსახორციელებლად.

2.4. დანართი 1-ითა და დანართი 2-ით განსაზღვრული კრიტერიუმების და შესაბამისი ქულების მინიჭების გათვალისწინებით მოხდება ნიშანი „რეკომენდებულია აჭარის არ ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მინიჭება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა. „აუცილებელი“ კრიტერიუმებიდან ერთ-ერთის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კვების ან განთავსების ობიექტი ვერ მიიღებს ხარისხის ნიშანს;

ბ. „დამატებითი“ კრიტერიუმებიდან ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებისათვის გათვალისწინებულ ჯამურ ქულათა არანაკლებ 75% ხარისხის ნიშნის მისაღებად;

გ. „სასურველი“ კრიტერიუმებიდან ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებისათვის გათვალისწინებულ ჯამურ ქულათა არანაკლებ 50% ხარისხის ნიშნის მისაღებად.

3. პროგრამით გათვალისწინებული პროცედურები გიდებისათვის

3.1. ნიშანი „რეკომენდებულია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მიენიჭება გიდს, რომელიც დარეგისტრირდა პროგრამის ვებ-გვერდზე recommend.ge, რისთვისაც შეავსებს სპეციალურ კითხვარს (დანართი 4).

3.2. გიდს შეიძლება მიენიჭოს ნიშანი „რეკომენდებულია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ შემდეგ მიმართულებებში:

ა. ქალაქის გიდი;

ბ. ზემო აჭარის გიდი;

გ. დაცული ტერიტორიის - გიდისთვის.

3.3. ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული გიდი გადის შემდეგ ეტაპებს:

ა. ტესტირება პროფესიულ საკითხებში (რომლის თემატიკა გამოქვეყნდება წინასწარ. ტესტირების თემატიკა 3.2. მუხლის შესაბამისად განსხვავდება და შეიძლება იყოს როგორც ერთ-ერთი მიმართულების გიდისათვის, ისე რამდენიმე მიმართულების გიდისათვის);

ბ. საჩვენებელი ექსკურსია.

3.4. ტესტირების ბარიერის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებდება წინასწარ. გიდი, რომელიც ვერ გადალახავს ბარიერს პროფესიულ ტესტირებაში ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

3.5. გიდისათვის „რეკომენდებულია“ ნიშნის მინიჭება ხდება პროფესიული ტესტისა და საჩვენებელი ექსკურსიის შედეგების მიხედვით. ტესტირება და საჩვენებელი ექსკურსია ტარდება გიდებისათვის განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 3 თვის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებით 2 თვით.

3.6. გიდი, რომელიც საჩვენებელი ექსკურსიის შედეგების მიხედვით დადებითად შეფასდება უცხო ენაში, „რეკომენდებულია“ ნიშნის მიღების შემთხვევაში, პროექტის ვებ-გვერდზე/გვერდებზე დამატებით მიეთითება შესაბამისი ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია.

4. კომისია (აღმასრულებელი საბჭო) და მისი შემადგენლობა

4.1. აღმასრულებელი საბჭო აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს ნიშან „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მისანიჭებლად შესაბამის სუბიექტებს ამ პროგრამის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

4.2. აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ არანაკლებ 5 ადამიანით.

4.3. კვებისა და განთავსების ობიექტის შეფასების შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:

ა. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ბ. ააიპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელი;

გ. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;

დ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი;

ე ტურისტული სააგენტოს ან ტურ-ოპერატორის წარმომადგენელი.

4.4. გიდის შეფასების შემთხვევაში აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს:

ა. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ბ. ააიპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელი;

გ. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;

დ. აკადემიური წრის წარმომადგენელი (უცხო ენის მიმართულება);

ე. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი;

ვ. ტურისტული სააგენტოს, ტურ-ოპერატორის, კვების ან განთავსების ობიექტის წარმომადგენელი.

4.5. 4.3 მუხლით გათვალისწინებულ აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც თავად ან რომლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი (მეუღლე, მშობელი, და/ძმა, შვილი, მეუღლის მშობელი, მეუღლის და/ძმა) ფლობს ან მუშაობს კვების ან განთავსების ობიექტში. 4.4 პუნქტით გათვალისწინებულ აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც თავად ან რომლის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი (მეუღლე, მშობელი, და/ძმა, შვილი, მეუღლის მშობელი, მეუღლის და/ძმა) არის გიდი. აღმასრულებელი საბჭოს წევრად დანიშვნისას პირი ადასტურებს, რომ მას არ აქვს ამ პუნქტში მოცემული ინტერესთა კონფლიქტი.

5. აღმასრულებელი საბჭოს მუშაობის წესი

5.1. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არანაკლებ 5 წევრისა.

5.2. აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღება ღია კენჭისყრის წესით.

5.3. გადაწყვეტილების მიღება ხდება საბჭოს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

5.4. საბჭოს წევრს უფლება აქვს თავი შეიკავოს. საბჭოს წევრს ასევე უფლება აქვს თავისი პოზიცია დააფიქსიროს განსხვავებული აზრით, რომელიც თან ერთვის საბჭოს სხდომის ოქმს.

5.5. აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების საფუძველზე მოიწვიოს ექსპერტი ხმის უფლების გარეშე. ექსპერტის მოწვევა დასაშვებია შეფასების ნებისმიერ ეტაპზე. ექსპერტი შეიძლება იყოს აკადემიური წრის, პროფესიული კავშირის ან ტურიზმის სექტორში მოქმედი ასოციაციის წარმომადგენელი.

5.6. საბჭო „რეკომენდებულია“ ნიშნის შესახებ იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას. კერძოდ:

ა. წარუდგენს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს კვების ან განთავსების ობიექტს ან გიდს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ ნიშნის მისანიჭებლად;

ბ. უარს ამბობს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის კვების ან განთავსების ობიექტს ან გიდს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ ნიშნის მისანიჭებლად წარდგენაზე.

6. ტექნიკური კომიტეტი და მისი შემადგენლობა

6.1. ტექნიკური კომიტეტი პროგრამის მიერ დადგენილი წესის საფუძველზე ახდენს შესაბამისი კვებისა და განთავსების ობიექტების შემოწმებას და გიდების ტესტირებას ამ პროგრამის მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული წესით, რის შედეგებსაც წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს.

6.2. ტექნიკური კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 ადამიანით.

6.3. ტექნიკური კომიტეტის წევრებს ირჩევს აღმასრულებელი საბჭო. მასში უნდა შედიოდეს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (სერვისის განვითარების განყოფილება) არანაკლებ ერთი წარმომადგენელი. კომიტეტში აგრეთვე შეიძლება შედიოდნენ სპეციალური ცოდნის მქონე დამოუკიდებელი ექსპერტები.

6.4. ტექნიკური კომიტეტის წევრი შეიძლება იმავდროულად იყოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

6.5. ტექნიკური კომიტეტის წევრზე ვრცელდება ინტერესთა კონფლიქტის მოთხოვნა ამ პროგრამის 4.5 მუხლის შესაბამისად.

7. ტექნიკური კომიტეტის მუშაობის წესი (კვებისა და განთავსების ობიექტის შეფასებისას)

7.1. პროგრამის ვებ-გვერდზე recommend.ge განაცხადის განთავსებისთანავე ტექნიკური კომიტეტი ამის შესახებ ატყობინებს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, რომლებიც აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან გაფორმებული მემორანდუმის ან შეთანხმების ფარგლებში უზრუნველყოფენ კვების ან განთავსების ობიექტის მიერ შესაბამისი ნორმების დაცვის შემოწმებას.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურების მიერ კვებისა და განთავსების ობიექტის შემოწმების შემდეგ ტექნიკური კომიტეტი პროგრამის ვებ-გვერდზე (recommend.ge) განაცხადის განთავსებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში ამოწმებს ობიექტს შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით.

7.3. შემოწმების შემდეგ ტექნიკური კომიტეტი აფასებს ობიექტს დადგენილი ქულების შესაბამისად და ამზადებს დასკვნას. თუ კვების ან განთავსების ობიექტი არ აკმაყოფილების მისთვის დადგენილ რომელიმე კრიტერიუმს, კომიტეტი ადგენს ხარვეზს და მიუთითებს ობიექტს მისი გამოსწორების გონივრულ ვადას, არაუმეტეს 1 თვისა.

7.4. ხარვეზის გამოსწორების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა (შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში კი ამ მუხლის მე-3 მუხლით განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა) განმეორებით ამოწმებს ობიექტს და ადგენს საბოლოო შეფასებასა და დასკვნას.

7.5. ტექნიკური კომიტეტის საბოლოო შეფასება და დასკვნა გადაეცემა აღმასრულებელ საბჭოს.

7.6. აღმასრულებელი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ ტექნიკურ კომიტეტს გაყვნენ შემოწმებაზე. აგრეთვე, კომიტეტის საბოლოო შეფასებისა და დასკვნის გაცნობის შემდეგ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმონ კომიტეტის მიერ გაცემული დასკვნა ობიექტზე ვიზიტით.

8. ტექნიკური კომიტეტის მუშაობის წესი (გიდების შეფასებისას)

8.1. ტექნიკური კომიტეტი უზრუნველყოფს გიდების ტესტირების ორგანიზებას პროგრამის ვებ-გვერდზე recommend.ge განაცხადის განთავსებიდან 3 თვის ვადაში.

8.2. ტექნიკური კომიტეტი საკუთარი რესურსებით ან სათანადო ექსპერტების დახმარებით ადგენს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს აფასებს პროფესიულ და უცხო ენების ტესტებს.

8.3. პროფესიული ტესტირების თემატიკა, ისევე როგორც პროფესიული და უცხო ენის ტესტირების ბარიერი ცხადდება წინასწარ.

8.4. ტესტირება შეიძლება შედგებოდეს ღია და დახურული სახის კითხვებისაგან, აგრეთვე ესსეს ტიპის დავალებისაგან.

8.5. ტესტირების შედეგებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დასაშვებია ტესტირების შედეგების გასაჩივრება, რაზედაც ტექნიკური კომიტეტის განმარტების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი საბჭო.

8.6. ტექნიკური კომიტეტი ორგანიზებას უწევს საჩვენებელ ექსკურსიას, რომელსაც გამოსაცდელი გიდი (პროფესიული ტესტის მინიმალური ბარიერის გადალახვის შემთხვევაში) ატარებს აღმასრულებელ საბჭოს წევრებისათვის.

9. „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ ნიშნის მინიჭების წესი

9.1. აღმასრულებელი საბჭოს მიერ ამ პროგრამის 5.6 მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილება ეცნობება აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

9.2. აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე ხარისხის ნიშნის „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მინიჭების ან მისი მინიჭების უარის შესახებ წერილობითი ფორმით აცნობებს შესაბამის ობიექტს ან გიდს. ხარისხის ნიშნის მინიჭების შემთხვევაში დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილს თან ერთვის სათანადო სერტიფიკატი.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე არ დაეთანხმება კომისიის მიერ მიწოდებულ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, წერილობითი ფორმით დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია.

10. პრეტენზიების განხილვის წესი

10.1. კვების ან განთავსების ობიექტი, ან გიდი, რომელიც არ ეთანხმება აღმასრულებელი საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია მიმართოს საბჭოს საპრეტენზიო განაცხადით.

10.2. აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია, საპრეტენზიო განაცხადის ავტორს არაუგვიანეს 1 თვისა წერილობით აცნობის გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების შესახებ.

10.3. კვების ან განთავსების ობიექტი, ან გიდი, რომელმაც ვერ მოიპოვა ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“, უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილებიდან ან ამ მუხლის 10.2 მუხლით განსაზღვრული პასუხიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არაუადრეს 1 თვისა განმეორებით გააკეთოს განაცხადი პროგრამის ვებ-გვერდზე (recommend.ge). კვების ან განთავსების ობიექტის შემთხვევაში განმეორებითი შემოწმება ხდება მხოლოდ ტექნიკური კომიტეტის მიერ ამ პროგრამის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ პროგრამის დანართები

დანართი 1

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ პროგრამის კრიტერიუმები
განთავსების ობიექტებისათვის

	სავალდებულო	**დამატებითი**	**ქულა**	**სასურველი**	**ქულა**
1	საგანგებო/ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ქართულ და ინგლისურ ენებზე	საგანგებო/ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ავტონომიური განათებით	3,0	საგანგებო / ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ვიზუალურად შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს	3,0
2	შენობის და საევაკუაციო გეგმის არსებობა საერთო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას	საევაკუაციო გეგმა ყველა ნომერში	3,0	შენობის გეგმა ესთეტურად შეესაბამებოდეს ინტერიერს	3,0
3	ცეცხლმაქრი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მითითების შესაბამისად	ცეცხლმაქრი ყველა სართულზე	3,0	სახანძრო სისტემის არსებობა	3,0
4	პირველადი დახმარების ყუთი				
5	ზოგადი სისუფთავე და ჰიგიენა (მუნიციპალიტეტის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემოწმება და მინიმუმ 1 დადებითი დასკვნა				

	(დოკუმენტი)				
6	წყლის რეზერვუარი (ცხელი წლით სარგებლობა 24 სთ) უწყვეტი ელექტროენერგია	წყლის რეზერვუარი მინიმუმ 1 ტონა. გენერატორი მინიმუმ ყველა ნომრის და კვების ბლოკის ელ.ენერგიის მისაწოდებლად	3,0	წყლის რეზერვუარი და ელ . გენერატორი კვების ობიექტის ინფრასტრუქტურის 100%-ზე	3,0
7	სასტუმროს გათბობა-კონდენცირების შესაძლებლობა				
8	WIFI-ს შესაძლებლობა სასტუმროს საზოგადოებრივ ადგილებში	WIFI-ს შესაძლებლობა სასტუმროს საზოგადოებრივ ადგილებსა და ყველა ნომერში	2,0	WIFI-ს შესაძლებლობა სასტუმროს მთლიან პერიმეტრზე, მათ შორის შენობის გარეთ არსებულ ინფრასტრუქტურულ ნაწილში	2,0
9	მიმღებში პრინტერის, სკანერის და ქსეროქსის საშუალება	სტუმრებისათვის პერსონალური კომპიუტერით, პრინტერის, სკანერის და ქსეროქსის გამოყენების საშუალება ცალკე გამოყოფილ ადგილას	2,0	სტუმრებისათვის პერსონალური კომპიუტერით, პრინტერის, სკანერის და ქსეროქსის საშუალება ს ცალკე ოთახში (ბიზნეს-ცენტრში)	2,0
10	სასტუმროს პირადი საიტისა (მოქმედი და განახლებადი მინ. ორენოვანი) და ელ.მისამართის ქონა; FACEBOOK გვერდი	სასტუმროს მოქმედი და განახლებადი მინიმუმ სამენოვანი ვებ-გვერდი. ისევე როგორც FACEBOOK-ის ორენოვანი გვერდი.	3,0	სასტუმროს ოპერირება სპეციალური პროგრამის საშუალებით (OPERA,FIDELIO, ELEKTRA,SHELTER ETC…)	3,0
11	საერთაშორისო დაჯავშნის მინიმუმ 3 სისტემაში ჩართულობა	რეგისტრირებული TripAdvisor-ზე ან/და Foursquare-ზე (გასწორებული	3,0	განთავსებული Google Map-ზე (გასწორებული საკონტაქტო ინფორმაცია)	3,0

		საკონტაქტო ინფორმაცია)			
12	24 საათიანი სარეგისტრაციო სერვისი/მიმღები	24 საათიანი ადმინისტრაცია სერვისი/მიმღები/ ბარგის შენახვის სერვისი	3,0	24 საათიანი ადმინისტრაცია /მიმღები/ბარგის შენახვის სერვისი და Bell Boy	2,0
13	მომსახურების ამსახველი ანგარიში (ინვოისი)				
14	საბანკო ანგარიში (ლათინური ასოებით)				
15	პოს ტერმინალი - სადებეტო ბარათი / საკრედიტო ბარათი (მინ. VISA, MASTERCARD)				
16	არანაკლებ 5 ნომერი	საკონფერენციო დარბაზი მინიმუმ 25 ადამიანზე	2,0	შშმ პირებისთვის ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა (პანდუსი, მინ. 1 disable ნომერი)	3,0
17	მინიმალური ფართობი ნებისმიერი/ყოველი ტიპის საძინებელი ოთახისათვის საცხოვრებელი ფართი ≥ 10 კვ.მ	სასტუმროში არსებული საძინებელი ოთახების 50%-ის მინიმალური კვ.მ ≥ 15	2,0	მინიმუმ 1 მაღალი კლასის ნომრის (ლუქსის) არსებობა.	2,0
18	აბაზანა + ტუალეტი ≥ 3,5 კვ.მ.	სათანადო ზომის პადონი (დასადგომი აბაზანაში)	2,0	პირსახოცის საშრობი გათბობის ფუნქციით	1,0
19	გამჭირვალე/გამჭოლი ფარდა/ ან სხვა საფარი ფანჯარაზე და ოთახის სრულად ჩაბნელების შესაძლებლობა	გასაღები ბარათზე	3,0	განათება კითხვისათვის, საწოლთან	2,0

20	დაცული შემნახველი ყუთი/სეიფი (მენეჯერის ოთახში)	სეიფი ნომრებში	2,0		
21	ფერადი ტელევიზორი საზოგადო ადგილებში	თხევად კრისტალური ტეევიზორი ყველა ნომერში	2,0	ინტერაქტიული ტელევიზია უცხოური არხებით	2,0
22	ერთსაწოლიანი ლოგინი/საწოლი მინიმუმ 0,8x1,90 მ. ორსაწოლიანი ლოგინი/საწოლი მინიმუმ 1,60x1,90 მ	ერთსაწოლიანი ლოგინი/საწოლი მინიმუმ 0,90 x1,90 მ. ორსაწოლიანი ლოგინი/საწოლი მინიმუმ 1,80 x1,90 მ	2,0	დამატებითი საწოლი, ბალიში და პლედი მოთხოვნის შემთხვევაში	1,0
23	ერთ სტუმარზე განკუთვნილი საწოლი, ტანსაცმლის კარადა, მაგიდა და სკამი	მინი ბარი, ბარგის დასადები რბილი სკამი	3,0	კომფორტული სკამი/სავარძელი და დივანი/ტახტი, მთელი ტანის სიმაღლის სარკე	1,0
24	პირადი ჰიგიენის/მოვლის საშუალებები ფლაკონებში (ერთჯერადი ფლაკონები)	ფენი, მინიმუმ 2 პირსახოცი და კოსმეტიკური სარკე აბაზანაში	3,0	ხალათი, ერთჯერადი ფლოსტები ყოველი სტუმრისთვის	1,0
25	თეთრეულის ცვლა კვირაში 2-ჯერ	თეთრეულის ცვლა ყოველ დღე მოთხოვნის შესაბამისად	3,0	თეთრეულის ცვლა ყოველდღე მოთხოვნის შესაბამისად და ლოგინის საღამოსთვის მომზადება	2,0
26	იდუმალი სტუმარი (ან საერთაშორისო ორგანიზაციების და/ან ქსელების შეფასების სისტემით განხორციელებული შეფასება*) უკანასკნელი წლის მანძილზე** და ტურიზმის	თანამშრომელთა 50%-ზე მეტი უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული ან უნდა ფლობდეს სპეციალური გადამზადების კურსების	3,0	ოპერირებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოება და მათი პერიოდული განხილვა	3,0

	დეპარტამენტის მიერ შექმნილ აღრიცხვის სისტემაში ჩართულობა	სერტიფიკატს			
27	შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით	პროფესიული ტრენინგები სასტუმროს პერსონალისთვის	3,0	სტუმრების კმაყოფილების კვლევა კითხვარების მეშვეობით	3,0
		ჯამი	55,0	ჯამი	45,0

* აღმასრულებელი საბჭო ტექნიკური კომიტეტის დასკვნის საფუძველზე ადგენს, რამდენად სანდო და შესაბამისია ასეთი შეფასებები

* გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის იდუმალი სტუმრით შემოწმება არ მოხდა დეპარტამენტის მიერ.

დანართი 2

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ პროგრამის კრიტერიუმები კვების ობიექტებისათვის

	სავალდებულო	**დამატებითი**	**ქულა**	**სასურველი**	**ქულა**
1	საგანგებო/ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ქართულ და ინგლისურ ენებზე	საგანგებო/ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ავტონომიური განათებით	3,0	საგანგებო / ავარიული მანიშნებლები და ინსტრუქციები ვიზუალურად შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და ინტერიერს	3,0
2	შენობის და საევაკუაციო გეგმის არსებობა საერთო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას	შენობის და საევაკუაციო გეგმის არსებობა საერთო და პერსონალისთვის გამოყოფილ სივრცეში თვალსაჩინო ადგილას	3,0	საავარიო გასასვლელი	3,0
3	ცეცხლმაქრი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მითითების შესაბამისად	ცეცხლმაქრი სამზარეულოსა და დარბაზში	3,0	სახანძრო სისტემა ობიექტზე	3,0
4	პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი				
5	სურსათის ეროვნულის სააგენტოს მიერ წელიწადში ერთი შემოწმების დადებითი საბუთი				
6	წყლის რეზერვუარი (ცხელი წლით სარგებლობა 24 სთ) უწყვეტი	წყლის რეზერვუარი მინიმუმ 1 ტონა. გენერატორი მინიმუმ სამზარეულოს	3,0	წყლის რეზერვუარი და ელ. გენერატორი კვების ობიექტის ინფრასტრუქტურის	3,0

	ელექტროენერგია	აუცილებელი აღჭურვილობის მოსამარაგებლად		100%	
7	კვების ობიექტის გათბობა-კონდენცირების შესაძლებლობა				
8	რესტორნის მოქმედი და განახლებადი FACEBOOK-ის გვერდი	რესტორნის პირადი ვებ-გვერდისა (მოქმედი და განახლებადი მინ. ორენოვანი) და ელ. მისამართის ქონა	3,0	განთავსებული Google Map-ზე (გასწორებული საკონტაქტო ინფორმაცია)	2,0
9	ტელეფონით დაჯავშნის სერვისი	ადგილზე მიტანის სერვისი	3,0		0,0
10	მომსახურების ამსახველი დეტალური ანგარიში (ინვოისი)				
11	საბანკო ანგარიში (ლათინური ასოებით)				
12	პოს ტერმინალი - სადებეტო ბარათი/საკრედიტო ბარათი (მინ.VISA, MASTERCARD)				
13	არანაკლებ 3 მაგიდა	არამწეველთათვის განკუთვნილი სპეციალური ადგილი	3,0	შშმ პირებისთვის ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა (პანდუსი)	3,0
14	არანაკლებ ორენოვანი მენიუ (მ.შ. აუცილებლად ქართული)	სასმელების და კერძების მენიუ ცალ-ცალკე	2,0	მენიუში კერძების მოკლე აღწერილობა	3,0
15	ერთნაირი დაუზიანებელი და ვიზუალურად მისაღები	ერთნაირი და მაღალი ხარისხის ხელსახოცები, დანა-ჩანგალი,	2,0	მაგიდის საფარის კვების ობიექტის სტილთან და	2,0

	ჭურჭელი, ხელსახოცები, დანა-ჩანგალი	ჭურჭელი, მენაჟე		დეკორაციებთან შესაბამისობა	
16	კომფორტული, რესტორნის შესაბამისი ავეჯი	გარდერობი ან საკიდი	3,0	ცოცხალი მუსიკა მოთხოვნის შემთხვევაში (ან საბავშვო სკამი)	2,0
17	უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისი ტექნიკა/გაზქურები/გამწოვები და ა.შ	ტექნიკური საკითხებისადმი პასუხისმგებელი თანამშრომლის არსებობა ობიექტზე	2,0		
18	უნიფორმები პერსონალს	სტილიზებული უნიფორმები პერსონალისთვის	2,0	პერსონალისთვის საშხაპეს არსებობა ობიექტზე	3,0
19	საპირფარეშოს რაოდენობა 50 სკამზე მინიმუმ ერთი კაბინა, 50-100 სკამამდე მინიმუმ 2 კაბინა	ერთმანეთისგან იზოლირებული საპირფარეშო და ხელსაბანი	3,0	განცალკევებული საპირფარეშოები სტუმრებისთვის და პერსონალისთვის	3,0
20	ოპერაციული ინსტრუქციები და მის შესრულებაზე კონტროლი	„შთაბეჭდილებების წიგნი“	2,0	სამზარეულოს და რესტორნის ოპერირების სახელმძღვანელოების ქონა	2,0
21	შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან საქ.შრომის კოდექსის მიხედვით	პროფესიული ტრენინგები კვების ობიექტის ყველა დარგის პერსონალისთვის წელიწადში ერთი და შესაბამისი პროფ. უნარების სერტიფიცირებული სტაფის 50% არსებობა	3,0	წელიწადში არანაკლებ ერთი ტრენინგები ჰიგიენის სტანდარტების შესახებ ობიექტის თანამშრომლებისთვის	3,0
22	იდუმალი სტუმარი (ან				

	საერთაშორისო ორგანიზაციების და/ან ქსელების შეფასების სისტემით განხორციელებული შეფასება*) უკანასკნელი წლის მანძილზე**				
		ჯამი	40,0	ჯამი	35,0

* აღმასრულებელი საბჭო ტექნიკური კომიტეტის დასკვნის საფუძველზე ადგენს, რამდენად სანდო და შესაბამისია ასეთი შეფასებები

* გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტის იდუმალი სტუმრით შემოწმება არ მოხდა დეპარტამენტის მიერ.

დანართი 3

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ პროგრამის ტესტირების და სატესტო ექსკურსიის თემატიკა გიდებისათვის

<u>პროფესიული ტესტირების თემატიკა</u>

- საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა (საბაზისო ცოდნა);
- საქართველოს გეოგრაფია, ბუნება და ლანდშაფტი (საბაზისო ცოდნა);
- საქართველოს კულტურისა და ეთნოლოგიის საკითხები. საქართველოს ტრადიციები, სულიერი კულტურა და ხალხური დღეობები; ფოლკლორი, ქართული სამზარეულო და ტრადიციული კერძები; აჭარული სამზარეულო და ტრადიციული კერძები.
- უსაფრთხოება (საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში არსებული საფრთხეები (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები);
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესები;
- თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობა (საქართველოს პოლიტიკური წყობა, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან; რეგიონული პოლიტიკა; ეკონომიკის, ბიზნესისა და ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა, ინვესტიციები, საქონლის იმპორტი და ექსპორტი; ტურიზმის მარკეტინგის საბაზისო ცოდნა; ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურა);
- საქართველოს გეოგრაფია, ბუნება და ლანდშაფტი. გეოგრაფიული მხარეები და ორიენტირება, საქართველოს საზღვრები, ქვეყნის ყველა კუთხისა და რაიონული ცენტრების დასახელება და მდებარეობა; საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა; ძირითადი დასახლებული პუნქტების სიმაღლეები ზღვის დონიდან; დისტანცია და გადაადგილების დრო საქართველოს ძირითად პუნქტებს შორის; მოსახლეობის დაახლოებითი რაოდნობა; ქედები და მთათა სისტემები; გეოლოგიის საბაზისო ცოდნა; მწვერვალების სიმაღლეები, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების და სახელწოდებები; კლიმატური ზონები (საბაზისო ცოდნა); ფლორა და ფაუნა (საბაზისო ცოდნა); საქართველოს დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები და ეროვნული პარკები; რეკრეაციული რესურსები; საქართველოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტების მდებარეობა;
- თანამედროვე ქართული ხელოვნება და კულტურა;
- აჭარის ისტორია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური მოწყობა (მართვის ორგანოები);
- ბათუმის განვითარების ისტორია; საბაზისო ინფორმაცია ბათუმის შესახებ და აქ არსებული ღირშესანიშნაობების შესახებ;
- აჭარის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაცია;

- აჭარის დაცული ტერიტორების შესახებ ინფორმაცია;
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (ზოგადი ინფორმაცია).

<u>სატესტო ექსკურსიის თემატიკა</u>

- ინფორმაციულობა: საექსკურსიო ტექსტის მომზადება; ტურისტული მარშრუტისათვის, ასევე, ტურისტული ჯგუფისათვის ძირითადი ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
- ეთიკის და უსაფრთხოების წესების დაცვა;
- ქართულ ან/და სხვა უცხო ენაზე გამართული კომუნიკაცია.

დანართი 4

პროგრამის ვებ-გვერდზე შესავსები განაცხადის ფორმა

1. განთავსების ობიექტების ონლაინ რეგისტრაციის ფორმა

იმ ტურისტულ ობიექტებს, რომელთაც სურთ მიიღონ დეპარტამენტის ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია“, უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, ან მოიტანონ შევსებული განაცხადი დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86, ბათუმი, საქართველო. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 0 422 27 47 02 | info@recommend.ge www.recommend.ge

* სავალდებულო გრაფა

ინფორმაცია ობიექტის შესახებ

საორგანიზაციო ფორმა და ორგანიზაციის დასახელება *

(მაგ.: შპს "რეკომენდებულია")

_____

ობიექტის დასახელება *

_____

დაარსების/რეგისტრაციის თარიღი *

_____

საიდენტიფიკაციო კოდი (9 ნიშნა) *

_____

იურიდიული მისამართი *

_____

ობიექტის მისამართი *

_____

სასტუმრო ნომრების რაოდენობა *

_____

ტელეფონის ნომერი

_____

მობილურის ნომერი

_____

ვებ-გვერდი

_____

ელ-ფოსტა

_____

Facebook გვერდი

_____

სარეგისტრაციო ფორმის შემვსები პირის მონაცემები

სახელი და გვარი *

_____

პოზიცია *

_____

საკონტაქტო ნომერი: *

_____

პირობები და შეთანხმება

გავეცანით პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ და მასში მონაწილეობის პირობებს. თანახმა ვართ, განაცხადის გაკეთების ვადის ამოწურვიდან 3 თვის ვადაში ჩვენს ადმინისტრირებაში მყოფი ტურისტული ობიექტი ჩაერთოს ხარისხის ნიშნის მოპოვების პროცესში და გაიაროს ყველა შესაბამისი პროცედურა, მათ შორის მიიღოს მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფები (მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტების რაოდენობა დამოკიდებულია პირველადი მონიტორინგის შედეგებზე) ობიექტზე და ხელი შეუწყოს მონიტორინგის შეუფერხებელ განხორციელებას. ტურიზმის დეპარტამენტის ხარისხის ნიშნის მისაღებად ასევე მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ მონიტორინგის შედეგად ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა/გამოსწორება მოცემულ გონივრულ ვადებში. *

☐ ვეთანხმები

განაცხადის გაკეთება

2. კვების ობიექტების ონლაინ რეგისტრაციის ფორმა

იმ ტურისტულ ობიექტებს, რომელთაც სურთ მიიღონ დეპარტამენტის ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია“, უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, ან მოიტანონ შევსებული განაცხადი დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86, ბათუმი, საქართველო. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 0 422 27 47 02 | info@recommend.ge | www.recommend.ge

* სავალდებულო გრაფა

ინფორმაცია ობიექტის შესახებ

საორგანიზაციო ფორმა და ორგანიზაციის დასახელება *

(მაგ.: შპს "რეკომენდებულია")

_____

ობიექტის დასახელება *

_____

დაარსების/რეგისტრაციის თარიღი *

_____

საიდენტიფიკაციო კოდი (9 ნიშნა) *

_____

იურიდიული მისამართი *

_____

ობიექტის მისამართი *

_____

ადგილების რაოდენობა რესტორანში *

_____

ტელეფონის ნომერი

_____

მობილურის ნომერი

_____

ვებ-გვერდი

_____

ელ-ფოსტა

_____

Facebook გვერდი

_____

სარეგისტრაციო ფორმის შემვსები პირის მონაცემები

სახელი და გვარი *

_____

პოზიცია *

_____

საკონტაქტო ნომერი: *

_____

პირობები და შეთანხმება

გავეცანით პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ და მასში მონაწილეობის პირობებს. თანახმა ვართ, განაცხადის გაკეთების ვადის ამოწურვიდან 3 თვის ვადაში ჩვენს ადმინისტრირებაში მყოფი ტურისტული ობიექტი ჩაერთოს ხარისხის ნიშნის მოპოვების პროცესში და გაიაროს ყველა შესაბამისი პროცედურა, მათ შორის მიიღოს მონიტორინგის ჯგუფი/ჯგუფები (მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტების რაოდენობა დამოკიდებულია პირველადი მონიტორინგის შედეგებზე) ობიექტზე და ხელი შეუწყოს მონიტორინგის შეუფერხებელ განხორციელებას. ტურიზმის დეპარტამენტის ხარისხის ნიშნის მისაღებად ასევე მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ მონიტორინგის შედეგად ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა/გამოსწორება მოცემულ გონივრულ ვადებში. *

☐ ვეთანხმები

განაცხადის გაკეთება

3. გიდების ონლაინ რეგისტრაციის ფორმა

იმ გიდებს, რომელთაც სურთ მიიღონ დეპარტამენტის ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია“, უნდა შეავსონ ონლაინ განაცხადის ფორმა, ან მოიტანონ შევსებული განაცხადი დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: ფარნავაზ მეფის ქ. 84/86, ბათუმი, საქართველო.
დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 0 422 27 47 02 | info@recommend.ge | www.recommend.ge

* სავალდებულო გრაფა

ინფორმაცია გიდის შესახებ

სახელი და გვარი *

_____

პირადი ნომერი *

_____

დაბადების თარიღი *

_____

სქესი *

○ კაცი

○ ქალი

ტელეფონის / მობილურის ნომერი *

_____

ვებ-გვერდი

_____

ელ-ფოსტა

_____

Facebook გვერდი

_____

გიდის პროფილი და უცხო ენების ფლობა

პროფილი *

☐ ქალაქის ტური

☐ მაღალმთიანი აჭარის გიდი

☐ დაცული ტერიტორიების გიდი

სხვა: _____

უცხო ენების ჩამონათვალი და ცოდნის დონე (ძალიან კარგი, კარგი, საშუალო) *

_____

ინფორამცია განათლების შესახებ

უმაღლესი სასწავლებელი (სასწავლებელი, სპეციალობა, სწავლის პერიოდი)

_____

პროფესიული სასწავლებელი (სასწავლებელი, სპეციალობა, სწავლის პერიოდი)

_____

გიდების ასოციაციის კურსი (ასოციაციის სრული სახელი და კურსის გავლის თარიღი)

_____

დამატებითი კომენტარი განათლებასთან დაკავშირებით

_____

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

მიუთითეთ გიდად მუშაობის პერიოდი

_____

დამატებითი კომენტარი გამოცდილებასთან დაკავშირებით

_____

განაცხადს თან უნდა ახლდეს საჭირო საბუთები

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვილილი საბუთების ასლები გამოგვიგზავნოთ ელ-ფოსტაზე: info@recommend.ge (ან მოგვაწოდოთ ადგილზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში)

1. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი/ცნობა/სერთიფიკატი (ასლი)
2. უცხო ენის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი (ასლი), ასეთის არსებობის შემთხვევაში

პირობები და შეთანხმება

გავეცანი პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ და მასში მონაწილეობის პირობებს. თანახმა ვარ ჩავერთო ხარისხის ნიშნის მოპოვების პროცესში და გავიარო ყველა შესაბამისი პროცედურა განაცხადის გაკეთების ვადის ამოწურვიდან 3 თვის ვადაში, განსაკუთრებულ შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს თანხმობით აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს დამატებით 2 თვით. *

☐ ვეთანხმები

განაცხადის გაკეთება